2008-2009 სასწავლო წელი
შემოდგომის სემესტრი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება –

ბიზნესის ადმინისტრირება კონცენტრაციით ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში **(Business Administration with concentration in Tourism and Hospitality Management).**

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი -

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი კონცენტრაციით ტურიზმსა და მასპინძლობის მენეჯმენტში **(MBA with concentration in Tourism and Hospitality Management).**

პროგრამის ხელმძღვანელი:

- სახელი, გვარი - მაია მარგველაშვილი.
- თანამდებობა – ასოცირებული პროფესორი, ტურიზმის კათედრის ხელმძღვანელი, ტურიზმის საერთაშორისო სკოლის დირექტორი.
- სამუშაო ადგილი – თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი.
- საკონტაქტო ინფორმაცია - თსუ X კორპუსი, XI სართული, ოთახი №1119, ტელ: 30-47-22, 30-35-11, ელ-ფოსტა: tourism@tsu.ge
- ბოლო 5 წლის განმავლობაში წაკითხული სალექციო კურსები – "ტურიზმის ეკონომიკა", "ტურიზმის პოლიტიკა", "ტურიზმი და განვითარება", "ტურიზმის მდგრადი განვითარების პოლიტიკა", "ტურსააგენტოებისა და ტუროპერატორების მენეჯმენტი", "ტურიზმის თეორია და პოლიტიკა", "ტურიზმის განვითარების სტრატეგიები", "ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ტურიზმში", "ტურიზმის მულტინაციონალური ასპექტები" და სხვ.
- სამეცნიერო კვლევის სფეროები – ტურიზმის ეკონომიკა, ტურიზმის მარკეტინგი, ტურიზმის მდგრადი განვითარება, ეკოტურიზმი.
- ბოლო 5 წლის პუბლიკაციები – "ტურიზმის პერსპექტივები საქართველოში", "ტურიზმის პრიორიტეტული სახეები და რეგიონები, მათი ეფექტიანი გამოყენების გზები", "ტურიზმის სავაჭრო ბალანსი და საგადასახადო პოლიტიკა საქართველოში", "ტურიზმის მარკეტინგული შეფასების მეთოდოლოგიური საფუძვლები", "ტურიზმი და ეკონომიკა" (2001), "ტურისტული ბაზრის მარკეტინგული კონცეფცია", "ინვესტიციების როლი ტურიზმის ბაზრის განვითარებაში" (2002), "ტურიზმი და სიღარიბის დაძლევა" (2003), "ტურიზმის საგანმანათლებლო სისტემა", "ტურიზმის დაგეგმარება ადგილობრივ დონეზე",

“ტურიზმის მდგრადი განვითარების დაგეგმარება დაცულ ტერიტორიებში”, “ტურიზმი და დასაქმება” (2005).

- ბოლო 5 წლის განმავლობაში 8 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, მათ შორის: 1) “სასტუმროებისა და ღამისთევის სხვა საშუალებების სტანდარტიზაციისა და სერტიფიკაციის პრობლემები საქართველოში”; 2) “მცხეთა ქალაქი–მუზეუმის როლი საქართველოს ტურიზმის მდგრადი განვითარების საქმეში”; 3) “კახეთის კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი”; 4) “დაცული ტერიტორიების როლი მსოფლიო ტურიზმში”; 5) “საერთაშორისო ტურიზმის ბიზნესის აქტუალური საკითხები”; 6) “საქალაქო ტურიზმი – თბილისში ამ მხრივ არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები”; 7) “სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პრობლემები საქართველოში”; 8) “კულტურული მემკვიდრეობის როლი მდგრადი ტურიზმის განვითარებაში”.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

- მიზანი – პროგრამის მიზანია: ტურიზმის მაღალკვალიფიციური სპეციალისტის – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აღზრდა კონცენტრაციით ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტში, ტურიზმისა და სასტუმრო ინდუსტრიების შესაბამის ორგანიზაციებსა და კომერციულ სტრუქტურებში საქმიანობის განსახორციელებლად; სპეციალისტების მომზადება ვიზიტორთა მომსახურების მაღალი დონის უზრუნველსაყოფად ადგილობრივ, რაიონულ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ტურისტული დანიშნულების ადგილებში; ასევე, ტურისტული დანიშნულების ადგილებისა და ტურისტული პროდუქტის მარკეტინგის, ოპერირების განსახორციელებლად და ა.შ.
- შედეგი – ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაცია კონცენტრაციით ტურიზმსა და მასპინძლობის მენეგმენტში მიენიჭებათ სტუდენტებს, რომელთაც ექნებათ ფუნდამენტური ცოდნა და უნარ-ჩვევები: ა) იმოქმედონ დამოუკიდებლად ტურიზმის დაგეგმარების, მარკეტინგისა და განვითარების ამოცანების დაყენებასა და გადაწყვეტაში; ბ) გაუთვალისწინებელ სიტუაციებში გაართვან თავი სირთულეებს და იქონიონ სწორი გადაწყვეტილების მიღების უნარი; გ) გამოიჩინონ ორიგინალობა პრობლემების გადაწყვეტაში; დ) საჯაროდ წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები და დასკვნები და შეძლონ მათი დაცვა შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით; ე) იმუშაონ მდგრადი ტურიზმის განვითარების პირობებში და მოუტანონ ქვეყანას საგრძნობი ეკონომიკური და სოციალური სარგებელი და სხვ.
- დასაქმების სფეროები – კურსდამთავრებულები შეძლებენ დაიკავონ მაღალი დონის სამენეჯერო პოზიციები ტურისტულ ორგანიზაციებში, სამთავრობო

სტრუქტურებში, სასტუმროებში, საკონფერენციო ცენტრებში, არასამთავრობო ორგანიზაციებში და სხვ.

მაგისტრატურაში მიღების წინაპირობებია – მიღება იწარმოებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განსაზღვრული წესით. სამაგისტრო პროგრამაზე მიღების მსურველებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ხარისხი. აუცილებელია ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) ცოდნა B1 დონეზე. სასურველია ჰქონდეთ კომპიუტერზე მუშაობის უნარ-ჩვევები (MS World, Excel, Internet Explorer); სასურველია სტაჟირების ქონა საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში და პროფილით მუშაობის გამოცდილება. მაგისტრატურაში ჩაბარების უფლება ექნება როგორც მიმდინარე წლის, ისე გასული წლების კურსდამთავრებულებს.

2008-2009 სასწავლო წელი
შემოდგომის სემესტრი

სამაგისტრო პროგრამა
ტურიზმი და მასპინძლობის მენეჯმენტი

მისაღები გამოცდის საკითხები

1. ტურისტი, როგორც ტურიზმის ობიექტი.
2. ტურიზმის ქარტია.
3. ტურისტის უფლებები და მოვალეობები.
4. ტურისტთა ტიპოლოგიები.
5. ტურიზმის არსი.
6. ტურიზმის ეკონომიკური შინაარსი (ტურისტული პროდუქტი, ტურისტული იმპორტ-ექსპორტი, ტურისტული შთაბეჭდილებები).
7. ტურიზმის ფორმები.
8. ტურიზმის სახეობები.
9. ტურიზმის მოთხოვნილების გამომწვევი ფაქტორები.
10. ტურიზმის ორგანიზება.
11. ტურიზმის მართვა.
12. ტურისტული მომსახურების ტექნოლოგია.
13. სახელმწიფოს ტურისტული პოლიტიკა.
14. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტურობა.
15. ტურიზმის განვითარების ეკონომიკური მაჩვენებლები.

16. ტურიზმის ბაზრის არსი და ფუნქციები.
17. ტურიზმის ბაზრის სეგმენტაცია.
18. ტურიზმის ბაზრის სუბიექტები.
19. ტურიზმის ბაზრის ფუნქციონირების მექანიზმი.
20. ტურიზმის ბაზრის ფუნქციონირების სეზონურობა.
21. ტურიზმის ინდუსტრიის არსი.
22. ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.
23. ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა ტიპის საწარმოთა დახასიათება.
24. მუშა-ხელი ტურიზმში.
25. ფასწარმოქმნა ტურიზმში.
26. ტურისტული პროდუქტის ფასის სტრუქტურა.
27. ფინანსური ურთიერთობების ორგანიზება ტურიზმში.
28. ტურისტული ფირმის ფინანსები.
29. დაბეგვრის თავისებურებები ტურიზმში.
30. დაზღვევის თავისებურებები ტურიზმში.
31. მომსახურების ხარისხის მნიშვნელობა მასპინძლობისა და ტურიზმის ინდუსტრიაში.
32. ტურიზმის ხუთი ხანა.
33. სასტუმროთა კლასიფიკაცია.
34. სასტუმროთა განვითარების ტენდენციები და საერთაშორისო პერსპექტივა.
35. სასტუმროს სტრუქტურა, დეპარტამენტთა ფუნქციები, მენეჯმენტის სტრუქტურა.
36. სასტუმროს ოპერირება: კვებისა და სასმელის დეპარტამენტი.
37. სარესტორნე ბიზნესის ფილოსოფია, მიზანი, ამოცანები, კონცეფცია.
38. რესტორნების კლასიფიკაცია, განვითარების ტენდენციები.
39. სათამაშო-გართობის ინდუსტრიის განსაზღვრება და ისტორიული მიმოხილვა.
40. სათამაშო-გართობის ინდუსტრიის ფარგლები, განვითარების ტენდენციები..
41. შეხვედრების, კონვენციებისა და გამოფენების ისტორიული მიმოხილვა, ინდუსტრიის განვითარების ტენდენციები.

42. მასპინძლობის ინდუსტრიის ადამიანური რესურსები, პრობლემები: კულტურული და ენობრივი ბარიერები, ეთნიკური მრავალფეროვნება, პერსონალური კულტურული ბარიერები.
43. მასპინძლობის ინდუსტრიის ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური სისტემების ტიპები.
44. სასტუმროს საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები.
45. რესტორნებისა და კვების სხვა ობიექტების საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები.

ლიტერატურა

1. Introduction to Hospitality Management – John R. Walker (NJ, Pearson Education, Inc.), 2004.
2. "International Tourism: A Global Perspectivwe - WTO (Madrid, Spain), 1999.
3. Экономика Туризма (Учебное пособие), И.Т.Балабанов, А.И.Балабанов, Москва, Финансы и статистика, 2003.